

ფინანსები და საბანკო პოლიტიკა FINANCE AND BANKING POLICY

საბანკო კონკურენციის კვლევა ეროვნული კანონმდებლობით

RESEARCH BANKING COMPETITION BY NATIONAL LEGISLATION

ლაშა ბერიძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მოწვეული მასწავლებელი

LASHA BERIDZE

Students of Kutaisi University,
Batumi Shota Rustaveli State University
Invited teacher

ანოტაცია

როგორც საქართველოს, ასევე ნებისმიერი ქვეყნის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს საფინანსო სექტორი და მისი განვითარების დონე. საქართველოში საფინანსო სექტორის ძირითად მოთამაშეებად გამოდიან კომერციული ბანკები და მათი საერთო კაპიტალი საქმიანობის სხვა სფეროში მოღვაწე ინსტიტუტებს გაცილებით აღემატება. თანამედროვე მიდგომებით არ არსებობს ერთიანი პოზიცია საბანკო სექტორში კონკურენციის კვლევის მეთოდოლოგიაზე, უფრო მეტიც, ხშირად ვერ ხერხდება შეჯერება იმ საკითხთან დაკავშირებითაც, თუ რამდენად პოზიტიურად შეიძლება იმოქმედოს საბანკო სექტორში არსებულმა კონკურენციამ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს მეტად თუ ნაკლებად განვითარებული ინდიკატორები, რომლებმაც შეიძლება მოგვცეს ზოგადი წარმოდგენა საბანკო კონკურენციასა და კონცენტრაციაზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საბანკო კონკურენციის კვლევა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონცენტრაცია, უთანაბრობის ხარისხი, ლინდის ინდექსი, დომინანტური მდგომარეობა, CR3, CR5,

Abstract

Both for Georgia and for any countries important segment is country's financial sector and its development level. In Georgia major players of financial sectors are commercial banks and their total capital assets is much larger than other institutions. By the modern approaches there is no a common position about banking competition methodology, moreover often is not possible to summarize the issue with regard to how much of a positive affect can bring competition in the banking sector to the country's economic stability. However, there are more or less developed indicators, which can give us a general idea of banking competition and concentration. at the same time, it is important to conduct survey by domestic legislation, of course if we have.

Keywords: competition, concentration, degree of inequality, Lind index, dominant position, CR3, CR5

შესავალი.

კონკურენცია, კონკურენტული ბრძოლა დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყნისათვის. ხშირ შემთხვევაში მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური გარემოს არსებობა ბაზარზე განაპირობებს, როგორც ბაზრის მონაწილეების, ასევე მოსახლეობისა და სახელმწიფო ინტერესების დაზარალებას, ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. გამომდინარე აქედან, უნდა არსებობდეს ისეთი

სახელმწიფო და სამართლებრივი რესურსი, რომელიც გამოავლენს კონკურენციის ჩამოყალიბებული წესების დარღვევის ფაქტს და რომელსაც ექნება ასეთი ქმედების პრევენციის ფუნქცია. ასეთი ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა ბაზრისათვის შეიძლება გასხვავდებოდეს სირთულისა და კომპლექსურობის მიხედვით, მითუფრო, თუ ეს ეხება საბაზრო ეკონომიკის ისეთ სპეციფიკურ სექტორს, როგორცაა საბანკო სექტორი.

საკითხის ამ კუთხით კვლევა განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო სექტორისათვის, ვინაიდან საქართველოში ფაქტობრივად არ მოიპოვება ნაშრომი, რომელიც აღნიშნული კუთხით გამოიკვლევდა ამ სფეროს, ასევე არ არსებობს არც სახელმწიფო დონეზე არსებული სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა საბანკო სექტორში კონკურენციის ეფექტიან მონიტორინგს. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენცია საქართველოში არსებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს კონკურენციის წესებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საბანკო სექტორში კონკურენციის განხორციელებაზე ზედამხედველი ორგანო, რადგან კანონმდებლობის დონეზე ვაწყდებით კოლიზიურ სიტუაციას, ანუ ზედამხედველობა უნდა განხორციელოს ეროვნულმა ბანკმა თუ კონკურენციის სააგენტომ, თუ ორივემ ერთად. ნაშრომში ძირითადი კვლევა მიმართულია დომინაციის კვლევაზე საბანკო სფეროში, რადგან საზოგადოების ზოგადი წარმოდგენით აღნიშნულ სფეროში უნდა შეიმჩნეოდეს მონოპოლიური (ოლიგოპოლიური) მდგომარეობა.

ძირითადი შინაარსი. საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის განსაზღვრა წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მთავარ მიზანს. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე არის კონკურენციის არქონა, მაგრამ კვლევები ცხადყოფს, რომ ზუსტი პასუხი არ გვაქვს იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად შეიძლება იყოს კონკურენციის არსებობა საბანკო სექტორში ფინანსური სტაბილურობის გარანტი. მეცნიერების Marcus [1. გვ., 557] და Charletti და Hatmann (2003) [2.] მიხედვით კონკურენციას მოაქვს ფინანსური სისტემის არამდგრადობა. ისინი თავიანთ მიდგომას ასაბუთებდნენ იმით, რომ მკაცრი კონკურენცია ასუსტებს საბაზრო ძალას, ამცირებს მოგების მიღების მარჯას და იძულებულს ხდის ბანკებს, რომ აიღონ უფრო მეტი რისკი. ამის მიუხედავად, თანამედროვე ლიტერატურა ამოდის საწინააღმდეგო პოზიციიდან და ამბობს, რომ კონკურენციის არსებობა უფრო მეტი გარანტიაა ფინანსური სტაბილურობის. ამასთანავე, მრავალი მონაცემების არსებობა მეცნიერებს აძლევს საშუალებას აწარმოონ გარკვეული სახის „ტესტები“ სხვადასხვა ჯგუფის ქვეყნებისათვის. განსხვავებული ქვეყნების მონაცემების გამოყენების საფუძველზე, Shaeck-ma [3. გვ. 1-40] და სხვ. (2006) და Boyd [4. გვ. 1330] და სხვ. (2006), მიაკვლიეს ემპირიულ მტკიცებულებას იმისა, რომ კონკურენციული საბანკო ბაზარი ნაკლებად განიცდიდა საბანკო კრიზისებს.

კონკურენცია წარმოადგენს ფართო გაგების ცნებას და ეხება ადამიანების საქმიანობის მრავალ მხარეს. ეკონომიკის სფეროში კონკურენ-

ციის ცნებას გააჩნია თავისი სპეციფიკა და იგი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ეს განსხვავებები უმნიშვნელოა, კონკურენციის ძირითადი შინაარსი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობაში შემდეგნაირად: კონკურენცია არის „სამეურნეო სუბიექტების დაპირისპირება, რომლის დროსაც ყოველი სუბიექტის დამოუკიდებელი ქმედებები გამოირიცხება ან შეიზღუდება შესაძლებლობებით ზემოქმედება მოახდინოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრის საერთო პირობებზე“ [5]. საბანკო კონკურენცია - ეს არის კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების მეტოქეობის პროცესი, როდესაც ისინი მიისწრაფიან დაიკავონ მტიცე ადგილი საკრედიტო და საბანკო მომსახურების ბაზარზე.

საბანკო კონკურენციის განსაკუთრებული მდგომარეობა შეიძლება შემდეგში:

საბანკო კონკურენცია გამოირჩევა განვითარების მაღალი დონითა და ინტენსივობით;

კომერციული ბანკების კონკურენტებად გამოდიან სხვა კატეგორიის ეკონომიკური აგენტებიც (სალიზინგო, საინვესტიციო კომპანიები, ფონდები, ფოსტა და სხვ.);

შიდა დარგობრივი კონკურენცია ატარებს გამორჩეულ ხასიათს, რაც იწვევს საბანკო მომსახურებისა და საქონლის დიფერენციაციას;

საბანკო მომსახურება და საქონელი შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს, მაგრამ მათ არ ეავთ კონკურენტუნარიანი „შიდა“ (არასაბანკო) შემცველებები;


ფასობრივი კონკურენციის შეზღუდვა წინა პლანზე წამოწევს საბანკო მომსახურების მართვის ხარისხის პრობლემას;

ინდივიდუალურ კონკურენციასთან ერთად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯგუფურ კონკურენციას.

კონკურენციის დამდგენი წესების რეგულირება მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის “კონკურენციის შესახებ” ნორმების ფარგლებში. აღნიშნული კანონის შესაბამისად, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომელსაც დაევა კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა. ამ პოლიტიკის ფარგლებში კონკურენციის სააგენტომ შეიმუშავა ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, რომლებიც საერთოა საქართველოში არსებული ყველა ბაზრისათვის, მათ შორის საბანკო ბაზრისათვის. კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრისათვის. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური სპეციფიკური მეთოდოლოგია. გა მ ო მ დ ი ნ ა რ ე აქედან, დღის წესრიგში დგას იმის დადგენა, თუ

რამდენად ზუსტად ასახავს ბაზრის მონოპოლიზაციის/ოლიგოპოლიის განსაზღვრის არსებული საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფინანსური ბაზარი საქართველოში წარმოდგენილია ძირითადად კომერციული ბანკე-

ბით, ამაზე მეტყველებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიაც. ფინანსური სექტორი აქტივების მიხედვით ასე გამოიყურება:



დიაგრამა N1. ფინანსური სექტორის აქტივები [6].

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში გამოვიკვლიოთ ბანკთა შორის კონკურენცია, რადგან, როგორც დიაგრამიდან ჩანს კომერციულ ბანკებს ფინანსური სექტორის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით მაღალი აქტივები აქვთ და ამასთანავე იკავებენ ფინანსური ბაზრის 92%.

ბაზრის ანაღზისის მეთოდური მითითებებით გამოიყენება ორი მაჩვენებელი, ეს არის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI), რომელიც არის ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი და ლინდის ინდექსი (L), რომელიც გვიჩვენებს კონკრეტულ ბაზარზე ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით საქართველოს საბანკო სექტორი ითვლება, როგორც მაღალკონცენტრირებული [7.], ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება გამოვიკვლიოთ საბანკო სექტორში დომინანტური მდგომარეობა ლინდის ინდექსის მიხედვით და ზოგადი წარმოდგენა საბანკო სექტორში მონოპოლიზაციის/ოლიგოპოლიის შესახებ დაგასაბუთოთ საკანონმდებლო

მიდგომის (meTodis) მიხედვით. ლინდის ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$L = 1 / (K(K-1)) \times \sum_{j=1}^K Q_j$, სადაც K – მსხვილი მიმწოდებლების რიცხვი (2-დან n-მდე);

Q_j - დამოკიდებულება j მიმწოდებლის საშუალო წილსა და K-j მიმწოდებლის წილს შორის;

K-j – მსხვილ მიმწოდებელთა შორის წამყვან მიმწოდებელთა რიცხვი.

$Q_j = A_j / j \times (A_k - A_j) / (K-j)$, სადაც A_j – ბაზრის საერთო წილი, რომელიც მოდის j მიმწოდებელზე;

A_k - ბაზრის წილი, რომელიც მოდის k მსხვილ მიმწოდებელზე. ლინდის ინდექსი ჯგუფური დომინირების საზღვრების განსაზღვრისას გამოიყენება შემდეგნაირად: გაიანგარიშება L, K=2-სთვის, K=3-სთვის და ა.შ., სადაც $L_{k+1} > L_k$, ანუ არ იქნება მიღებული L მაჩვენებლის უწყვეტობის პირველი დარღვევა.[8.] საზღვარი ჩაითვლება დადგენილად, თუ მიღწევა L_k -ს მინიმალური მნიშვნელობა L_{k+1} მნიშვნელობასთან შედარებით.

გამარტივებული სახით ლინდის ინდექსი რამოდენიმე ბანკისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ შემ-

დევი სახით:

1 ლინდის ინდექსი ორი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{2} \times \left[\frac{K_1}{K_2} \right]$

2 სამი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{k_1}{(k_2+k_3)/2} + \frac{(k_1+k_2)/2}{k_3} \right]$

2 ოთხი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{12} \times \left[\frac{K_1}{(k_2+k_3+k_4)/3} + \frac{(k_1+k_2)/2}{(k_3+k_4)/2} + \frac{(k_1+k_2+k_3)/3}{k_4} \right]$

თავდაპირველად ლინდის ინდექსი შემოთავაზებულ იქნა ევროკავშირის კომისიის თანამშრომლის - რემო ლინდის მიერ. აღნიშნული ინდექსი, როგორც ფართოდ გავრცელებული კონცენტრაციის CRn ინდექსი, გამოიყენება მხოლოდ რამოდენი-

მე მსხვილი ბანკისათვის, ამიტომ საქართველოს საბანკო სექტორის დომინაციის კვლევისას სავარაუდო შედეგი უნდა მივიღოთ ბანკების მცირე მონაწილეობის შემთხვევაშიც კი. ვისარგებლოთ ოფიციალური კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშებით [9.] :

კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემები და საბაზრო წილები

კომერციული ბანკები	წმინდა საპროცენტო შემოსავალი		მოთიანი აქტივები	
	n	მოცულობა ლარებში	n	მოცულობა ლარებში
ბანკი რესპუბლიკა	7%	46 302 895	7%	1 670 424 267
თიბისი ბანკი	27%, 34	187 467 727	26%, 33	6 541 346 463
საქართველოს ბანკი	33%	226 766 666	33%	8 468 927 088
ლიბერთი ბანკი	8%	58 242 557	6%	1 586 547 518
ბაზის ბანკი	3%	18 686 709	3%	727 055 544
ვითიბი ბანკი ჯორჯია	4%	27 385 556	5%	1 336 482 720
ბანკი ქართუ	4%	30 287 058	5%	1 261 424 694
პროგრედიტ ბანკი	5%	31 939 003	5%	1 223 182 824
სილკ როუდ ბანკი	0%	1 255 551	0%	52 168 569
კაპიტალ ბანკი	0%	2 258 779	1%	183 137 989
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	0%	3 271 551	0%	115 419 687
ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	1 529 561	0%	88 240 276
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	593 517	0%	34 936 074
თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი	1%	3 885 076	1%	227 989 771
პროგრეს ბანკი	0%	2 630 625	1%	235 990 643
ტერაბანკი	2%	11 460 676	3%	673 298 254
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	8 753 209	1%	306 539 892
პაშა ბანკი საქართველო	1%	7 718 708	1%	291 222 860
ფინკა ბანკი საქართველო	3%	18 302 430	1%	250 041 049
ჯამი		688 737 854		25 274 376 182

ორი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{2} \times \frac{34}{33} = 0.51$

სამი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{34}{(33+8)/2} + \frac{(34+33)/2}{8} \right] = 0,97_5$

ოთხი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{12} \times \left[\frac{34}{(33+8+5)/3} + \frac{(34+33)/2}{(8+5)/2} + \frac{(34+33+8)/3}{5} \right] = 1,03$

მიღებული შედეგით ნათლად ჩანს, რომ საქართველოში დომინაციას ქმნის ორი ბანკი (სს „საქართველოს ბანკი“ და სს „თი ბი სი ბანკი“), მიუხედავად იმისა, რომ დარღვევა უწყვეტობისა გამოვლინდა ორი, სამი და ოთხი ბანკისათვის, პირველ უწყვეტობას ქმნის ორი ბანკი, ამიტომ შეიძლება აღნიშნული მეთოდით მივიჩნიოთ საქართველოს საბანკო ბაზარი, როგორც ოლიგოპოლიური (დუოპოლიური). ამასთანავე, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით დომინირებული მდგომარეობა განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მა

თი წილი არ აღემატება 40 პროცენტს. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50% აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%.

არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%. [10.]


ჩვენს შემთხვევაში, მხოლოდ ორი ბანკი (თიბისი და საქართველოს ბანკი) ღაზავს 15% ბარიერს და მათი საბაზრო წილი 66-67% ფარგლებშია, რაც გვაძლევს იმის ვარაუდს, რომ საქართველოს საბანკო ბაზარი კონცენტრირებულთან ერთად ჩავთვალოთ დომინირებულად, მიუხედავად იმისა, რომ

კანონით დაწესებულია სხვადასხვა პირობების არსებობა - კონკურენციის შეზღუდვა, ბაზრის საერთო პირობებზე ზეგავლენა და სხვა. ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით გავაკეთოთ სხვადასხვა ქვეყნებ-

თან შედარებით ანალიზი ბაზრის მონაწილე 5 უმსხვილესი კომერციული ბანკის (CR5) მაგალითზე.[11] კვლევაში მოვიყვანოთ მხოლოდ ისეთი ქვეყნები, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო ბაზრის პროდექტიულ და

ტერიტორიულ საზღვრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არაკორექტულ სურათს.

დიაგრამა N 2



აღნიშნული მაჩვენებლით, რათქმაუნდა რთულია კონკრეტული დასკვნების გაკეთება, მაგრამ გარკვეულ მინიმუმს გვაძლევს იმის თაობაზე რომ, 5 უმსხვილესი ბანკის წილის შემთხვევაში საქართველოს მონაცემები რადიკალურად არ განსხვავდება სხვა ქვეყნების მონაცემებისაგან, თუ არ ჩავთვლით ლუქსემბურგს სადაც, აღნიშნული მაჩვენებელი 32-33% ფარგლებში მერყეობს.

დასკვნა. ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ საჭიროა ეფექტური მონიტორინგის განხორციელება, როგორც ეროვნულ ბანკის, აგრეთვე კონკურენციის სააგენტოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკების საქმიანობა მიუკუთვნება ეკონომიკის რეგულირებად სფეროს, საჭიროა ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც გარანტი იქნება საბანკო სექტორში კონკურენციული ნორმების გატარებისა და დაცვისათვის. ამასთანავე, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, თუნდაც კაპიტალური და ფინანსური ბაზრების თავსებადობა

ევროკავშირის ქვეყნებთან. ასეთი თავსებადობის მიღწევა კი კონკურენციის გარეშე შეუძლებელი იქნება. საქართველოს საბანკო ბაზარი ითვლება მაღალკონცენტრირებულად, ამასთანავე, აშკარად შეინიშნება ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხი პირველი ორი ბანკის შემთხვევაში, ამიტომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობა დაუბრუნდა ეროვნული ბანკის კომპეტენციას (2015 წლის ცვლილებებით გადაეცა ახლად შექმნილ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, რომელიც 2017 წლის 10 მარტის ცვლილებებით კვლავ დაუბრუნდა ეროვნულ ბანკს) და შესაძლებელია კონკურენციის სააგენტოსთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების გზით, ერთობლივი მიდგომით საბანკო სფეროში კონკურენციის წესების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელება, მითუმეტეს ასეთ პრაქტიკას უცხოური გამოცდილება ითვალისწინებს.

ლიტერატურა/REFERENCES

1 Marcus, A. J. (1984). Deregulation and bank financial policy. *Journal of Banking & Finance*, 8(4), 557-565

2 Carletti, E., & Hartmann, P. (2003). Competition and Financial Stability: What's Special about Banking?, *Monetary History, Exchange Rates and Financial Markets: Essays in Honour of Charles Goodhart*.

3 Schaeck, K., & Čihák, M. (2007). Banking competition and capital ratios. *IMF Working Papers*, 1-40.

4 Boyd, J. H., & De Nicolo, G. (2005). The theory of bank risk taking and competition revisited. *The Journal of finance*, 60(3), 1329-1343

5 საქართველოს კანონი „konkurenciis შესახებ“ ელექტრონული წყარო, ხელმისაწვდომი: 25.12.2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

6 Georgian Law „about Competition“, el. source, available: 25.12.2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>

- 7 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კაპიტალის ბაზრის განვითარების სტარტეგია, ხელმისაწვდომი: 27.03.2017, http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf
- 8 Ministry of Economy and Sustainable development, Capital Market Development Startegy, el. source, available: 27.03.2017, http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarebis_strategia.pdf
- 9 ელიავა ლ., ბერიძე ლ., პერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენება საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასებისას, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 2015 წ.
- 10 Eliava L., Beridze L., Using Herfindal-Hirschman Index in the banking competition, Paata Gugushvili named institute of Economics, International scientific and practical conference, 2015
- 11 ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, დანართი N1, კონკურენციის სააგენტო, ხელმისაწვდომი: 16.03.2016 <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>
- 12 Methodical instructions of Market analysis, appendix N1, Competition Agency, available: 16.03.2016, <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>
- 13 საქართველოს ეროვნული ბანკი, ხელმისაწვდომი: 16.03.2016, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>
Georgian National Bank, available: 16.03.2016, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>
- 14 საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 5, ხელმისაწვდომი: 18.03.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
Georgian law „About Competition”, article 5, available: 18.03.2017, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
- 15 ევროპის ცენტრალური ბანკი, ფინანსური ანგარიში, ხელ: 22.10.2016, <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/reportonfinancialstructures201510.en.pdf>
European Central Bank, Financial Report, available: 22.10.2016, <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/reportonfinancialstructures201510.en.pdf>